ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N55

19.08.2025 წელი
12:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 19 აგვისტოს, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ოთარ გრიგოლია** (კომისიის წევრი) და **შოთა გრიგოლია** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **გიორგი კობიაშვილი** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 აპრილის №25.617.691 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (საფუძველი წერილი #12-032522719-03, 15.08.2025წ.).
   მომხსენებელი - გიორგი კობიაშვილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის**

პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი* წერილი #12-032522720-03, 15.08.2025წ.).

მომხსენებელი - გიორგი კობიაშვილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

3. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა“ (საანგარიშო პერიოდი, 2025 წლის I-ლი და II-ე კვარტალი).

მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

გიორგი კობიაშვილი - მოგესალმებით, პირველი საკითხი ეხება ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაციისათვის“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი მასალებიდან 4-5 მეტრის სიგრძის მქონე თოთხმეტი ერთეული გარე განათების ლითონის ბოძის დამატებით გადაცემას. ასოციაციის განმარტებით, აღნიშნული ბოძები გამოყენებული იქნება ტრიბუნების ტევადობის გაზრდისა და გადახურვის სამუშაოების ფარგლებში კონსტრუქციის გამყარების მიზნით, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაცია“ არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა, განახორციელებს 35 000 ლარის ინვესტიციას, რაც მოხმარდება მზიურის სტადიონზე არსებული ტრიბუნების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ტრიბუნების ტევადობის გაზრდას და გადახურვას.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 აპრილის №25.617.691 განკარგულებაში ცვლილების

შეტანის შესახებ“ საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ოთარ გრიგოლია - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - შოთა გრიგოლია - (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 აპრილის №25.617.691 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

გიორგი კობიაშვილი - რაც შეება მეორე საკითხს, მოგეხსენებათ, რომ შპს ,,კორტებს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩა №13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 174 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, ქონების საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 2 635 944 ლარის ოდენობით. ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს ორი წლის ვადაში ქონებაზე სპორტული კომპლექსის, მათ შორის, არანაკლებ სამი საჩოგბურთო კორტის, საცურაო აუზის, ფიტნეს-დარბაზის, ასევე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულებისა სივრცეების მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება, მოწყობა, შესაბამისად აღჭურვა და ამ მიზნით, არანაკლებ ხუთი მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება. მყიდველმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გაზრდის მიზნით განმეორებით მომართა სააგენტოს 2025 წლის 7 აგვისტოს განცხადებებით და მოითხოვა საპრივატიზებო პირობის შესრულების ვადად განსაზღვრულიყო არაუგვიანეს 2026 წლის 01 სექტემბერი, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესრულების ვადად განსაზღვრულიყო არაუგვიანეს 2025 წლის 30 დეკემბერი (3-3 თვით). ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მყიდველმა სააგენტოში წარმოადგინა თიბისი ბანკის მიერ გაცემული 500 000 ლარის ოდენობის ვადაგაზრდილი საბანკო გარანტია, რომელიც მოქმედებს 2027 წლის 04 იანვრის ჩათვლით. მშენებლობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, შპს ,,კორტები" თავის მოთხოვნას ასაბუთებს სამუშაოების პროცესში ბეტონის მოცულობითი კონსტრუქციის ჩამოშლით. ასევე მეტეოროლოგიური პირობების გაუარესებით გამოწვეული სამშენებლო სამუშაოების დროებით შეჩერებით, ვინაიდან, გარკვეული დროის განმავლობაში უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ოთარ გრიგოლია - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - შოთა გრიგოლია - (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ პირველი იანვრიდან დღემდე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. მინდა ყურადღება გავამახვილო მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურიულ პროექტებზე, რომელთა მშენებლობა/მოწყობა საანგარიშო პერიოდში აქტიურად ხორციელდება. ამ ეტაპისთვის ისნის რაიონში, ,,ოლიმპიკის" მიმდებარე ტერიტორიაზე, მიმდინარეობს დიდი რეკრეაციული პარკის მშენებლობა, აღნიშნულ სივრცეში განთავსდება ჩოგბურთის და ფეხბურთის სპორტული მოედნები. ასევე, ვარკეთილის მრავალფუნქციური ცენტრის ეზოში, სადაც დავიმატეთ გარკვეული ტერიტორია, მოეწყობა კორტი, პადელის და ფეხბურთის მოედნები, ხოლო მრავალფუნქციურ ცენტრში სამუშაოების მეორე ეტაპის დასრულება სექტემბრის ბოლოსთვის იგეგმება. ასევე, ვერის ბაღში ვახორციელებთ ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაციას, სამუშაოებმა შეფერხება გამოიწვია, რადგან

პარალელურად ვერის ბაღის სრული რეაბილიტაციის პროცესიც მიმდინარეობს. ეს გახლავთ სპორტის მიმართულებით ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, აღნიშნული მიმართულებით ჩუღურეთის რაიონში ვახორციელებთ საინტერესო პროექტს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოების შესყიდვა. ეს გახლავთ კორპუსის პირველი სართული, დგებუაძის ქუჩაზე, 350 კვადრატული მეტრი ფართობის, რომელიც იყო სსიპ ,,ქონების სააგენტოს" ბალანსზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გადავა ა(ა)იპ ,,თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის" ბალანსზე, პროექტით აღნიშნულ ფართობში მოეწყობა თანამედროვე, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო და სპორტული სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ჩუღურეთის მაცხოვრებლებისთვის და ყველა თბილისელისთვის.

აზრი გამოთქვეს:

ოთარ გრიგოლია - მნიშვნელოვანია მსგავსი ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ გარკვეული პროექტები განახორციელონ, შეიკრიბონ, მოაწყონ ფილმის ჩვენება და გამოიყენონ ეს სივრცე სხვადასხვა აქტივობისთვის. ნამდვილად სჭირდება ასეთი სივრცეები ჩვენს დედაქალაქს. კარგი იქნება ადგილზე გასვლა, დეტალურად რომ მოვინახულოთ.

ირაკლი გვილავა - დიახ, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე მოხდა აღნიშნული სივრცის მოძიება. იყო მოთხოვნა, რომ რაიონს ჰქონოდა ცივილური ახალგაზრდული სივრცე, თანამედროვე ინფრასტრუქტურით. ასევე შესაძლებელია წინ სკვერის მოწყობაც. მალე იქნება კონტრაქტორი კომპანია და აუცილებლად დავაორგანიზებთ გასვლით შეხვედრას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში" (საანგარიშო პერიოდი, 2025 წლის III კვარტალი).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე